



შპს
„ს ტ უ გ რ უ პ ი“

ქ. თბილისში, რიყის ტერიტორია, ნაკვეთი 65/061-ზე
(ს.კ. 01.17.01.065.061) მდებარე შპს „რიყე დომ“-ის
კუთვნილი შენობა 01/4-ის დემონტაჟი

დემონტაჟის ორგანიზების პროექტი
(მოპი)

თბილისი 2026 წელი

შპს

„სტუგრუპი“

ქ. თბილისში, რიყის ტერიტორია, ნაკვეთი 65/061-ზე
(ს.კ. 01.17.01.065.061) მდებარე შპს „რიყე დომ“-ის
კუთვნილი შენობა 01/4-ის დემონტაჟი

დემონტაჟის ორგანიზების პროექტი
(მოპი)



დირექტორი

ტ. სტურუა

ორგანიზების პროექტის ავტორი

ტ. სტურუა

თბილისი 2026 წელი

შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა

ა) განმარტებითი ბარათი

I.შესავალი

II.სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება

III.სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

IV.სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები

V. დემონტაჟის განსაკუთრებული მოთხოვნები. მომიჯნავე შენობა-ნაგებობების მდგრადობის შენარჩუნების ღონისძიებები

VI.სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები

VII.საჭირო მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

VIII.სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოება

IX. მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების დასაწყობება და გატანა

ბ) გრაფიკული ნაწილი

1. „ დემონტაჟის კალენდარული გრაფიკი“ - ნახაზი „დო-1“
2. „ სადემონტაჟო გენგეგმა“ - ნახაზი „დო-2“
3. „ სადემონტაჟო სქემები“ - ნახაზი „დო-3“
4. „შენობის შესანარჩუნებელი სარდაფის კედლის, კონტრფორსული პილონებისა და მათი საძირკვლების სქემა“

გ) სადემონტაჟო შენობის ფოტომასალა

ა) განმარტებითი ბარათი

I. შესავალი

ქ. თბილისში, რიყის ტერიტორია, ნაკვეთი 65/061-ზე (ს. კ. 01.17.01.065.061) მდებარე შპს „რიყე დომ“-ის კუთვნილი შენობა 01/4-ის „დემონტაჟის ორგანიზების პროექტი (მოპი)“ დამუშავებულია შპს „სტუგრუპი“-ს მიერ.

წინამდებარე „დემონტაჟის ორგანიზების პროექტი(მოპი)“ დამუშავებულია შემდეგი მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების (სნდაწ) და ტექნიკურ-ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე:

1. სნდაწ 3.01.01-85* - „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“
2. სნდაწ 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“
3. სნდაწ III-4-80* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“
4. სნდაწ 3.02.01-87- „მიწის ნაგებობები. ფუძეები და საძირკვლები“
5. ტექნიკური რეგლამენტი „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“
6. ტექნიკური რეგლამენტი „ შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები“
7. ტექნიკური რეგლამენტი „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ“
8. საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“
9. საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“
10. საქართველოს კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“

11. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N 255
დადგენილება

12. ტექნიკური რეგლამენტი „ამწე მოწყობილობების მოწყობისა და
უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“

13. ტექნიკური რეგლამენტი „ნარჩენების ტრანსპორტირების
წესები“

ასევე სხვა მეთოდურ-ნორმატიული დამხმარე დოკუმენტაციის
საფუძველზე.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე სნდაწ 3.01.01-85*-ის
მოთხოვნის თანახმად, დემონტაჟის მწარმოებელმა სამშენებლო
ორგანიზაციამ აუცილებლად უნდა დაამუშაოს „სამუშაოთა
წარმოების პროექტი“.

აკრძალულია სადემონტაჟო სამუშაოების დაწყება
დამტკიცებული „სამუშაოთა წარმოების პროექტი“-ს გარეშე.

აუცილებელია განხორციელდეს სადემონტაჟო სამუშაოების
წარმოებაზე დამკვეთის ტექნიკური ზედამხედველობა.

II. სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება

შპს „რიყე დომ“-ის კუთვნილი სადემონტაჟო შენობა (საკადასტრო ნომერი 01/4) განლაგებულია ქ. თბილისში, რიყის ტერიტორიაზე, 65/061 ნაკვეთზე (ს.კ. 01.17.01.065.061).

შენობა 01/4 -ს ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან უშუალოდ ესაზღვრება(ემიჯნება) ბარათაშვილის აღმართის არსებული საყრდენი კედელი. სხვა მხრიდან შენობა 01/4 -ს არსებული შენობა-ნაგებობები არ ესაზღვრება. მიწის ნაკვეთზე განლაგებულია ხეები და სხვა მწვანე ნარგავები. ტერიტორია მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმურ ზონას.

მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 14 591 მ2-ს.

ხორციელდება შენობა 01/4-ის სრული დემონტაჟი (გარდა ბარათაშვილის აღმართის არსებული საყრდენი კედლის მდგრადობის დაცვის მიზნით, აღმართის საყრდენ კედელთან შენობის მომიჯნავე მთელ გრძივ კონტურზე აუცილებლად შესანარჩუნებელი სარდაფის კედლის, კონტრფორსული პილონების და მათი საძირკვლებისა).

სადემონტაჟო შენობა 01/4-ის მთლიანი ფართობი შეადგენს 8 620 მ2-ს.

სადემონტაჟო შენობა 01/4 არის ცალკე მდგომი, IV კლასის შენობა და შედგება ორი ბლოკისგან:

ბლოკი N 1- ე.წ. „მუსიკალური თეატრი“ და ბლოკი N 2- ე.წ. „საგამოფენო დარბაზი“. ორივე ბლოკი გარკვეულ კონტურზე (ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს) უშუალოდ ემიჯნება ბარათაშვილის აღმართის არსებულ საყრდენ კედელს.

ბარათაშვილის აღმართის არსებული საყრდენი კედელი შენობა 01/4- თან მომიჯნავე საზღვრებში გაძლიერებულია მონოლითური რკ/ბეტონის კედლებით.

შენობა 01/4-ის მაქსიმალური სიმაღლე 0,00 ნიშნულიდან შეადგენს 23,5 მეტრს, ჩაღრმავება 0,00 ნიშნულიდან-6,0 მეტრს. აბსოლუტური ნიშნული(0,00) შეადგენს 392,00 მეტრს.

ბლოკი N1:

ბლოკი N 1 წარმოადგენს რთული კონფიგურაციის ოთხსართულიან(მიწის ზემოთ) შენობას და აქვს ასევე სარდაფი(გარკვეულ მონაკვეთებში).

შენობა (ბლოკი N1) კონსტრუქციული სქემის მიხედვით კომბინირებული ტიპისაა(რკ/ბეტონის და ლითონის კონსტრუქციებით). არსებული ლითონის მზიდი კარკასი გარედან შემოსილია სახურავის და ფასადის მოპირკეთების პანელებით (ალუმინი, უჟანგავი ფოლადი, მინა).

შენობის ლითონის კონსტრუქციების შეერთებები განხორციელებულია ჭანჭიკებით და შედუღებებით დამაგრებული შეერთების დეტალებით.

ბლოკი N1-ის კონსტრუქციული აგებულება შემდეგია(ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, რადგან შენობის კონსტრუქციული პროექტი მიუწვდომელია):

საძირკვლები(ვიზუალური დათვალიერება ვერ მოხერხდა) - სავარაუდოდ, მონოლითური რკ/ბეტონის, კომბინირებული(ლენტურ-წერტილოვანი).

სარდაფის კედლები(ვიზუალური დათვალიერება ვერ მოხერხდა)-
სავარაუდოდ, მონოლითური რკ/ბეტონის.

მიწისქვეშა კედლები(ნაწილობრივ მოხერხდა მათი ვიზუალური
დახასიათება)- მონოლითური რკ/ბეტონის.

მზიდი კარკასი- ცილინდრული გეომეტრიის მქონე ლითონის
ჩარჩო, რომელიც დაყრდნობილია მონოლითური რკ/ბეტონის
ლენტურ საძირკვლებზე მოწყობილ ლითონის ფირფიტებზე, მათი
შეერთება განხორციელებულია ჭანჭიკებით.

ლითონის ჩარჩო წარმოადგენს შედგენილ კოჭს, სიმაღლით 80 სმ.
ქვედა და ზედა თაროს სიგანე შეადგენს 40 სმ-ს. ლითონის სისქე
შეადგენს 4 სმ.

ჩარჩოები ერთმანეთთან შეკრულია მილკვადრატებით,
გაბარიტული ზომებით 300X 300X 7 მმ და ლითონის მილებით,
დიამეტრით 104 მმ.

მიწისზედა კედლები ბარათაშვილის აღმართის არსებული
საყრდენი კედლის გასწვრივ (მიჯნაზე) -მონოლითური რკ/ბეტონის.

ბარათაშვილის აღმართის არსებული საყრდენი კედლის
გასწვრივ(მიჯნაზე) შენობის ყველა სართულზე(სარდაფის ჩათვლით)
მოწყობილია მონოლითური რკ/ბეტონის კონტრფორსული პილონები.

ბარათაშვილის აღმართის მხარეს, ყველა სართულზე,
მონოლითური რკ/ბეტონის კედლებს შორის მოწყობილ ლითონის
ორტესებრ კოჭებზე მოწყობილია მონოლითური რკ/ბეტონის
ფილა(პროფილირებულ ლითონის ფურცლებზე).

რიყის პარკის მხარეს მოწყობილ მიწისქვეშა ნაწილში

განლაგებულია მონოლითური რკ/ბეტონის კომბინირებული (ლენტურ-წერტილოვანი) საძირკვლები(სავარაუდოდ) და მათზე მოწყობილია მონოლითური რკ/ბეტონის კედლები.

ცილინდრული გეომეტრიის მქონე ლითონის ჩარჩოს დასაჭერად მოწყობილია ლითონის ჩარჩოები ლითონის კონსტრუქციებით: სვეტები -ორტესებრი კოჭებით(33-იანი) და რიგელები-ორტესებრი კოჭებით(22-იანი). დიაფრაგმები მოწყობილია ლითონის კუთხოვანებით 140 X 140 X 16 მმ და 80 X 7 მმ. დიაფრაგმები და რიგელების შეერთებები მოწყობილია ჭანჭიკებით.

მაყურებელთა დარბაზის კონსტრუქცია მოწყობილია ლითონის დახრილი მთავარი შედგენილი კოჭებით და შეერთებულია ერთმანეთთან ლითონის კოჭებით. შეერთებები მოწყობილია ჭანჭიკებით.

სართულშუა გადახურვა წარმოადგენს ლითონის ორტესებრი კოჭებზე მოწყობილ მონოლითური რკ/ბეტონის ფილას(ლითონის პროფილირებულ ფურცლებზე).

მაყურებელთა დარბაზის ორივე მხარეს მოწყობილია მისასვლელი ბილიკი. ბილიკის კონსტრუქცია გადაწყვეტილია ლითონის ჩარჩოებზე მოწყობილი მონოლითური რკ/ბეტონის ფილით (პროფილირებულ ლითონის ფურცლებზე).

ბლოკი N 2:

ბლოკი N 2 წარმოადგენს რთული კონფიგურაციის ცილინდრული გეომეტრიის მქონე ოთხსართულიან შენობას, აქვს სარდაფი მცირე კონტურში.

შენობა კონსტრუქციული სქემის მიხედვით კომბინირებული

ტიპისაა(ლითონის და მონოლითური რკ/ბეტონის კონსტრუქციების).
არსებული ლითონის მზიდი კარკასი გარედან შემოსილია სახურავის
და ფასადის მოპირკეთების პანელებით(ალუმინის,უჟანგავი ფოლადის
და მინის). შენობის ლითონის კონსტრუქციების შეერთებები
განხორციელებულია შედუღებებით და ჭანჭიკებით დამაგრებული
შეერთების დეტალებით.

ბლოკი N2-ის კონსტრუქციული აგებულება შემდეგია:

საძირკვლები(ვიზუალური დათვალიერება ვერ მოხერხდა) -
სავარაუდოდ, მონოლითური რკ/ბეტონის,
კომბინირებული(ლენტურ-წერტილოვანი).

სარდაფის კედლები(ვიზუალური დათვალიერება ვერ მოხერხდა)-
სავარაუდოდ, მონოლითური რკ/ბეტონის.

მზიდი კარკასი- ცილინდრული გეომეტრიის მქონე ლითონის
ჩარჩო დაყრდნობილია მონოლითური რკ/ბეტონის ლენტურ და
წერტილოვან საძირკვლებზე მოწყობილ ლითონის ფირფიტებზე.
მათი შეერთებები განხორციელებულია ჭანჭიკებით.

ლითონის ჩარჩო პირველი სართულის დონეზე წარმოადგენს 40
სმ დიამეტრის მქონე ლითონის მილებზე და ლითონის შედგენილ
კოჭებზე დაყრდნობილ ლითონის ელემენტებს (მილებს,
მილკვადრატებს და კუთხოვანებს). ჩარჩოები ერთმანეთთან
შეკრულია მილკვადრატებით და კუთხოვანებით. სართულშუა
გადახურვები გადაწყვეტილია ლითონის ჩარჩოებზე დაყრდნობილ
პროფილირებულ ლითონის ფურცლებზე მოწყობილი მონოლითური
რკ/ბეტონის ფილებით. მესამე სართულის გადახურვა

ბარათაშვილის აღმართის არსებული საყრდენი კედლის
მიმდებარედ შენობის ყველა სართულზე მოწყობილია მონოლითური

რკ/ბეტონის კონტრფორსული პილონები.

კონტრფორსულ პილონებზე დაყრდნობილია ლითონის ანაკრები ორტესებრი კოჭები, რომლებზეც ეწყობა მონოლითური რკ/ბეტონის გადახურვის ფილა.

მზიდი ლითონის ჩარჩო (ურთიერთგადამკვეთი ლითონის ორტესებრი კოჭები) ეყრდნობა გრძივი ჰორიზონტალური მიმართულებით განთავსებულ ლითონის მილებს, დიამეტრით 40 სმ.

ურთიერთგადამკვეთი ლითონის ჩარჩო მოწყობილია ლითონის ორტესებრი კოჭებით, სიმაღლით 38 სმ, ზედა და ქვედა თაროს სიგანე - 50 სმ, ფოლადის სისქე -4 სმ. მათი შეერთება განხორციელებულია ელექტროშედულებით.

რიყის პარკის მხრიდან მოწყობილი შენობაში ასასვლელი კიბე გადაწყვეტილია ლითონის კონსტრუქციებში.

III .სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

შპს „რიყე დომ“-ის კუთვნილი შენობა 01/4-ის დემონტაჟის სამუშაოთა წარმოების ხანგრძლივობა განსაზღვრულია სნდაწ 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“-ს და დამხმარე „სარეკონსტრუქციო და სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობის განსაზღვრა“-ს საფუძველზე, სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობის, ეტაპობრიობისა და შეთავსებადობის გათვალისწინებით და შეადგენს სამუშაოების დაწყებიდან 6 თვეს, მათ შორის მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა- 0,5 თვე.

ცალკეულ სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიური თანამიმდევრობა და ხანგრძლივობა მოცემულია „დემონტაჟის კალენდარულ გრაფიკ“-ში (ნახაზი „დო-1).

IV. სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები

შენიშვნა 01/4-ის სადემონტაჟო სამუშაოები სრულდება ორ რიგად:

პირველი რიგი- მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები.

მეორე რიგი- ძირითადი პერიოდის სამუშაოები.

მოსამზადებელ პერიოდში ხორციელდება შემდეგი სამუშაოები ერთ ეტაპად (სამუშაოები ხორციელდება პარალელურ რეჟიმში):

1) სადემონტაჟო მოედნის შემოღობვა დროებითი საჩეხიანი ღობით. დროებითი დახურული გასასვლელის მოწყობა ბარათაშვილის აღმართის ტროტუარზე (ფეხით მოსიარულეთათვის).

2) დროებითი შენობების მოწყობა.

3) დროებითი სასაწყობო მოედნების მოწყობა.

4) დროებითი ელ. მომარაგების და წყალმომარაგების ქსელის მოწყობა. დროებითი განათების ქსელის მოწყობა.

5) შენობის შიდა ქსელების გამორთვა გარე ქსელებიდან.

6) სახიფათო ზონების აღნიშვნა გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნებით და სიგნალებით.

7) საავტომობილო აშენებისათვის დროებითი სამომდრავო ზოლების მოწყობა. დროებითი შიდასამოედნო გზის მოწყობა.

8) შენობის გვერდითი ფასადის (აღმართის მხარეს) დროებითი ბადით და ტენტით შეფუთვა.

შენიშვნა 01/4-ის ძირითადი სადემონტაჟო სამუშაოები ხორციელდება ერთდროულად N1 და N2 ბლოკებზე, შემდეგ პარალელურ ცალკეულ ძირითად სადემონტაჟო ეტაპებად:

ბლოკი N1:

I ეტაპი - გარე გარსის(ალუმინი,მინა, უჟანგავი ფოლადი) და მისი ლითონის კარკასის დემონტაჟი.

II ეტაპი- გვერდითი(ტორსული) ვიტრაჟების დემონტაჟი.

III ეტაპი - ლითონის კარკასისა და მონოლითური რკ/ბეტონის ელემენტების დემონტაჟი „ზემოდან-ქვემოთ“, სარდაფის სართულამდე (გარდა შესანარჩუნებელი კონტრფორსული პილონებისა).

IV ეტაპი - სარდაფის სართულის ლითონის კარკასისა და მონოლითური რკ/ბეტონის ელემენტების დემონტაჟი(გარდა შესანარჩუნებელი სარდაფის კედლის და კონტრფორსული პილონებისა).

V ეტაპი- საძირკვლების დემონტაჟი (გარდა შესანარჩუნებელი სარდაფის კედლისა და კონტრფორსული პილონების საძირკვლებისა).

ბლოკი N 2:

I ეტაპი- გარე გარსის(ალუმინი ,მინა, უჟანგავი ფოლადი)და მისი ლითონის კარკასის დემონტაჟი.

II ეტაპი- გვერდითი (ტორსული) ვიტრაჟების დემონტაჟი.

III ეტაპი- ლითონის კარკასისა და მონოლითური რკ/ბეტონის ელემენტების დემონტაჟი „ზემოდან-ქვემოთ“, საძირკვლებამდე(გარდა

შესანარჩუნებელი სარდაფის კედლის და კონტრფორსული პილონებისა).

IV ეტაპი- საძირკვლების დემონტაჟი(გარდა შესანარჩუნებელი სარდაფის კედლისა და კონტრფორსული პილონების საძირკვლებისა).

ბლოკების სადემონტაჟო სამუშაოების პარალელურად ხორციელდება სადემონტაჟო მოედნიდან სამშენებლო ნაგვის გატანა და მეორადი მასალების გატანა.

სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს „ზემოდან-ქვემოთ“ , ელემენტური დაშლის, გამსხვილებულ ბლოკებად დაშლისა და ადგილზე დაშლა-მონგრევის მეთოდებით, სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიური ციკლის შესაბამისად.

შენობა 01/4-ის დემონტაჟის ბოლო ეტაპი არის მისი საძირკვლების დემონტაჟი(გარდა შესანარჩუნებელი საძირკვლებისა).

შენობა 01/4-ის საძირკვლებისა და სარდაფის სართულის დემონტაჟის შედეგად წარმოშობილი ქვაბულები უნდა შეივსოს გრუნტით და შემდეგ მოიხსნას სადემონტაჟო მოედნის დროებითი ღობე. ქვაბულების გრუნტით შეუვსებლობის შემთხვევაში შენარჩუნდეს სადემონტაჟო მოედნის დროებითი ღობე.

„სამუშაოთა წარმოების პროექტ“-ში დეტალურად დამუშავდეს სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების რიგობრიობა და ეტაპები.

V.დემონტაჟის განსაკუთრებული მოთხოვნები. მომიჯნავე შენობა-ნაგებობების მდგრადობის შენარჩუნების ღონისძიებები

ა) დემონტაჟის განსაკუთრებული მოთხოვნები:

1. სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად დამუშავდეს „სამუშაოთა წარმოების პროექტი“(დემონტაჟის მწარმოებელი ორგანიზაციის მიერ).
2. სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე შენობის ყველა შიდა საინჟინრო ქსელი (წყალი, გაზი, დენი და სხვა) აუცილებლად გამორთული უნდა იქნას გარე ქსელებიდან.
3. სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე დაზუსტებულ იქნას მიწის ნაკვეთზე შესაძლო გამავალი მიწისქვეშა საინჟინრო ქსელების განლაგება, რისთვისაც ობიექტზე გამოძახებულ იქნას ქალაქის საინჟინრო კომუნიკაციების მფლობელი ორგანიზაციების წარმომადგენლები.
4. შენობის სადემონტაჟო სამუშაოები მიეკუთვნება მაღალი რისკისა და მომატებული საფრთხის შემცველ სამუშაოებს. დემონტაჟის მწარმოებელი ორგანიზაციის მიერ მოხდეს საფრთხეების იდენტიფიცირება, რისკების შეფასება და მიღებულ იქნას შესაბამისი პრევენციული ზომები. გამოყოფილ იქნას შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.
5. საავტომობილო ამწეების სამოძრაო ზოლის, სასაწყობო მოედნების და შიდასამოედნო დროებითი გზის მოსაწყობად აუცილებელია გარკვეული რაოდენობის არსებული ხეებისა და ნარგავების მოჭრა ან გადარგვა. სამოძრაო ზოლის სიგანე შეადგენს 5,0 მეტრს.
6. ბარათაშვილის აღმართის არსებული საყრდენი კედლის მდგრადობის შენარჩუნების მიზნით შენარჩუნდეს და არ იქნას

- დემონტირებული შენობის სარდაფის კედელი, კონტრფორსული პილონები(ყველა სართულზე) და მათი საძირკვლები, საყრდენ კედელთან მომიჯნავე შენობის მთელ გრძივ კონტურზე.
7. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას აკრძალულია ექსკავატორ-კოდალას გამოყენება.
 8. მონოლითური რკ/ბეტონისა და ბეტონის კონსტრუქციების დემონტაჟი მოხდეს მათი ადგილზე დაშლა-მონგრევით, პნევმატური სანგრევი ჩაქუჩების გამოყენებით.
 9. დიდგაბარიტული სადემონტაჟო ელემენტების(დიდწონიანი) მუშა აწევამდე მოხდეს მათი საკონტროლო აწევა ამწით, მცირე სიმაღლეზე.
 10. ყველა სადემონტაჟო სამუშაო შესრულდეს სნდაწ III -4-80*-ისა და უსაფრთხოების მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების შესაბამისად.
 11. ყველა სადემონტაჟო სამუშაო შესრულდეს პროექტის განმარტებით ბარათში მოცემული მეთოდებისა და ეტაპების სრული დაცვით.
 12. სადემონტაჟო სამუშაოებზე დაშვებულ იქნას მაღალკვალიფიციური და შესაბამისი სერტიფიკატის მქონე მუშახელი.
 13. ბარათაშვილის აღმართის ტროტუარზე, სახიფათო ზონის ფარგლებში მოეწყოს დროებითი დახურული გასასვლელი ფეხით მოსიარულეთათვის.
 14. მიღებულ იქნას ღონისძიებები გარემოს დაბინძურებისგან დასაცავად.

ბ) მომიჯნავე შენობა-ნაგებობების მდგრადობის შენარჩუნების ღონისძიებები:

სადემონტაჟო შენობა 01/4 (ორივე ბლოკი) ჩრდილო-

აღმოსავლეთით უშუალოდ ესაზღვრება ბარათაშვილის აღმართის არსებულ საყრდენ კედელს. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროცესის საყრდენი კედლის არსებულ კონსტრუქციულ მდგრადობაზე ზეგავლენის გამორიცხვის მიზნით დემონტაჟის ორგანიზების პროექტის(მოპი)“ მიერ მიღებულია შემდეგი ღონისძიებები:

1. შენობა 01/4-ის ბარათაშვილის აღმართის არსებულ საყრდენ კედელთან მომიჯნავე მთელ გრძივ კონტურზე(საყრდენ კედელთან შენობის მიჯნის ფარგლებში):

ა) ყველა სართულზე (მე-3 სართულიდან სარდაფის სართულის ჩათვლით) შენარჩუნდეს და არ დემონტირდეს შენობის კონტრფორსული პილონები, ასევე შენარჩუნდეს და არ დემონტირდეს მათი საძირკვლები(იხილეთ „შენობის შესანარჩუნებელი სარდაფის კედლის, კონტრფორსული პილონებისა და მათი საძირკვლების სქემა“).

ბ) შენარჩუნდეს და არ დემონტირდეს შენობის სარდაფის კედელი და მისი საძირკვლები(იხილეთ „შენობის შესანარჩუნებელი სარდაფის კედლის, კონტრფორსული პილონებისა და მათი საძირკვლების სქემა“).

2. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას აკრძალულია ექსკავატორ-კოდალას გამოყენება.

3. ბარათაშვილის აღმართის არსებული საყრდენი კედლის მახლობლად შენობა 01/4-ის სადემონტაჟო სამუშაოები შესრულდეს ელემენტური დაშლის მეთოდით და ადგილზე დაშლის მეთოდით(აკრძალულია მონგრევით სადემონტაჟო ელემენტების დაშლა). სამუშაოები შესრულდეს ხელით, მცირე მექანიზაციის

საშუალებათა და ხელის იარაღების გამოყენებით. ანაკრები ელემენტების დემონტაჟი მოხდეს საავტომობილო ამწით.

4. „დემონტაჟის ორგანიზების პროექტის (მოპი)“ აუცილებელი მოთხოვნაა, რომ სარდაფის სართულის ელემენტების დემონტაჟის დროს ადგილზე დაზუსტდეს (დემონტაჟის მწარმოებელი ორგანიზაციის მიერ), არსებული საყრდენი კედლის საძირკვლისა და შენობის მომიჯნავე ელემენტების საძირკვლების ურთიერთგანლაგებისა და ჩაღრმავების დონე.

VI.სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები

შენობა 01/4-ის N1 და N2 ბლოკების სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას მკაცრად უნდა იქნას დაცული სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიური ციკლის მოთხოვნები და თანამიმდევრობა.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად უნდა გამოირთოს გარე ქსელებიდან სადემონტაჟო შენობა 01/4-ის ორივე ბლოკის ყველა შიდა კომუნიკაცია : დენი,წყალი,კანალიზაცია,გაზი და სხვა (მათი არსებობის შემთხვევაში).

სადემონტაჟო სამუშაოთა დაწყებამდე აუცილებლად უნდა დამუშავდეს „სამუშაოთა წარმოების პროექტი“, რომელშიც დეტალურად იქნება მოცემული სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები და უსაფრთხოების ღონისძიებები შენობა 01/4-ის ორივე ბლოკის მიხედვით.

ანაკრები ელემენტების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დაზუსტდეს მათი ტექნიკური მდგომარეობა,განლაგება და მაქსიმალური წონა, ასევე ისრის შვერისა და ისრის კაკვის აწევის საჭირო სიდიდეები. მხოლოდ ამის შემდეგ არის ნებადართული მათი დემონტაჟის დაწყება.

შენობა 01/4-ის ორივე ბლოკის სადემონტაჟო სამუშაოები წარმოებს ერთდროულად , „ზემოდან-ქვემოთ“, მათი სრული დემონტაჟით (გარდა შენობის შესანარჩუნებელი სარდაფის კედლისა, კონტრფორსული პილონებისა და მათი საძირკვლებისა). ამასთანავე ქვედა ნიშნულზე სადემონტაჟო სამუშაოების დაწყება ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვერტიკალურ სიბრტყეში მის ზედა ნიშნულზე ყველა მასზე დაყრდნობილი

ელემენტი მთლიანად დემონტირებულია.

ყველა კონსტრუქცია დემონტაჟის დაწყებამდე უნდა გაშიშვლდეს.

„სამუშაოთა წარმოების პროექტ“-ში დამუშავდეს კონსტრუქციების ელემენტური დაშლის, გამსხვილებულ ბლოკებად დაშლისა და ადგილზე დაშლის დეტალური მეთოდები და ტექნოლოგიური თანამიმდევრობა. პირველ რიგში შესაძლებლობის ფარგლებში დემონტირებული იქნას ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ელემენტები და სხვა კონსტრუქციები, დემონტაჟის ტექნოლოგიის სრული დაცვით.

აუცილებლობის შემთხვევაში მოხდეს სადემონტაჟო ელემენტების დროებითი დამაგრება- დაჭერა, პირველ რიგში კი ავარიული ელემენტების.

აკრძალულია ანაკრები და მონოლითური ელემენტების დემონტაჟი მათი პირდაპირი მონგრევის (დაშლა-დაქუცმაცების გარეშე) გზით.

შენობა 01/4-ის ორივე ბლოკის- N1 და N2 ბლოკების სადემონტაჟო სამუშაოები იწყება ერთდროულად და ხორციელდება პარალელურ რეჟიმში.

შენობა N 1-ის სადემონტაჟო სამუშაოები:

ბლოკი N 1-ის სადემონტაჟო სამუშაოები ხორციელდება ერთდროულად ორი საავტომობილო ამწის დახმარებით, თითოეულის ტვირთამწეობაა 200 ტნ. ასეთ ტონაჟობის ამწის შერჩევა განაპირობა სადემონტაჟო ლითონის მზიდი ჩარჩოს ყველაზე დიდგაბარიტული ცალკეული ელემენტების სავარაუდო წონამ, მაყურებელთა დარბაზის იატაკის საყრდენი შედგენილი კოჭების სავარაუდო წონამ, ყველაზე მძიმე ელემენტების ასაწევად ამწის

ისრის საჭირო შვერისა და ისრის კაკვის აწევის საჭირო სიმაღლის სიდიდეებმა, ასევე სადემონტაჟო შენობის დიდმა გაბარიტებმა და სარდაფის არსებობამ.

„დემონტაჟის ორგანიზების პროექტის (მოპი)“ მოთხოვნით, საავტომობილო ამწეების ტექნიკურ პასპორტში მოყვანილი მახასიათებლების შესაბამისად განისაზღვროს ამწეების საჭირო მუშა ტვირთამწეობა კონკრეტული ცალკეული სადემონტაჟო ლითონის ელემენტისათვის (წონის, ისრის შვერისა და კაკვის აწევის საჭირო სიდიდეების მიხედვით) და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდეს ამ ელემენტის დემონტაჟი.

სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას ამწეები მოძრაობენ შენობის გარედან, გრძივი და განივი(რიყის პარკის მხარეს) გარე კონტურების (როგორც მიწისზედა, ასევე მიწისქვეშა) გასწვრივ. ერთი ამწე მოძრაობს ერთი განივი კონტურის გასწვრივ, მიზმით შენობის გარე კონტურთან 5,0 მეტრზე, ხოლო მეორე ამწე მოძრაობს მეორე განივი კონტურის გასწვრივ, მიზმით შენობის გარე კონტურთან 5,0 მეტრზე და ასევე ერთი გრძივი (რიყის პარკის მხარეს) კონტურის გასწვრივ, მიზმით შენობის გარე კონტურთან 5,0 მეტრზე(იხილეთ „სადემონტაჟო გენგეგმა“-ნახ. „დო-2“ და „სადემონტაჟო სქემები“- ნახ. „დო-3“). საავტომობილო ამწეები მუშაობენ როგორც ისრულ, ასევე ისრულ-ბატიყელიან შესრულებაში. საავტომობილო ამწეები მუშაობენ ასევე გამოსატან საყრდენებზე.

ბლოკი N1-ის სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ძირითადი ჰორიზონტალური სამუშაო მიმართულებაა - „რიყის პარკიდან-ბარათაშვილის აღმართისკენ“, ხოლო ძირითადი ვერტიკალური სამუშაო მიმართულებაა „ზემოდან -ქვემოთ“. სამუშაოები ხორციელდება ცალკეულ სადემონტაჟო ეტაპებად.

პირველ ეტაპზე ხორციელდება მზიდი ლითონის ოვალური ჩარჩოს გარე გარსის(ალუმინი, უჟანგავი ფოლადი, მინა) და მისი ლითონის კარკასის დემონტაჟი.

პარალელურ ეტაპად ხორციელდება გვერდითი(ტორსული) ვიტრაჟების დემონტაჟი.

შემდეგ ცალკეულ სადემონტაჟო ეტაპად ხორციელდება მზიდი ოვალური ჩარჩოს ლითონის კარკასისა და მონოლითური რკ/ბეტონის ელემენტების დემონტაჟი „ზემოდან - ქვემოთ, სარდაფის სართულამდე(გარდა შესანარჩუნებელი კონტრფორსული პილონებისა)“. ამ ეტაპის სადემონტაჟო სამუშაოები ხორციელდება ცალკეულ ვერტიკალურ სადემონტაჟო სექციებად.

ლითონის კარკასის დემონტაჟი (გარე გარსის და მისი კარკასის მოხსნისა და ტორსული ვიტრაჟების მოხსნის შემდეგ) ცალკეულ სადემონტაჟო სექციებზე ხდება შემდეგნაირად:

ლითონის კარკასის მზიდი ოვალური ჩარჩოს სადემონტაჟო სამუშაოები წარმოებს ცალკეულ სადემონტაჟო სექციებად. ცალკეულ სადემონტაჟო სექციას წარმოადგენს ლითონის მზიდი ჩარჩოს განივ მზიდ შედგენილ ოვალურ კოჭებს შორის მოქცეული კარკასის ნაწილი მთელ სიმაღლეზე, თავისივე ორივე ტორსული ოვალური შედგენილი კოჭებით და ლითონის დამაკავშირებელი ელემენტებით.

თითოეულ სადემონტაჟო სექციაზე კარკასის ჩარჩოს განივი ოვალური ლითონის შედგენილი კოჭების დემონტაჟი იწყება ყველაზე მაღალი ნაწილიდან (წერტილიდან). დემონტაჟი ხორციელდება ცალკეულ სადემონტაჟო ელემენტებად, საზღვრებით- „ჭანჭიკური შეერთებიდან ჭანჭიკურ შეერთებამდე“.

ოვალური კოჭის მაღალ ნაწილში (წერტილში) პირველ რიგში

ხდება სადემონტაჟო ელემენტის დაჭერა საავტომობილო ამწით შენობის ერთი გვერდიდან და პარალელურად ასევე ხდება მისი მოპირაპირე (მაღალ ნაწილში) ჩახსენელი სადემონტაჟო ელემენტის დაჭერა მეორე საავტომობილო ამწით შენობის მეორე გვერდიდან. შემდეგ ხდება ჩარჩოს კოჭის სადემონტაჟო ელემენტის მეზობელ გვერდით კოჭთან დამაკავშირებელი ლითონის ელემენტების წინსწრებითი, თანდათანობითი ჩახსნა (ჭანჭიკური დაშლა ან ჩაჭრა) არსებული „ჭანჭიკური შეერთებიდან- ჭანჭიკურ შეერთებამდე“. ამის შემდეგ ხდება სადემონტაჟო კოჭის შეერთებების ჩახსნა (ჭანჭიკური დაშლა ან ჩაჭრა) ოვალური ჩარჩოს მოპირდაპირე და ქვედა კოჭებთან. ამის შემდეგ კი ხდება ორივე სადემონტაჟო ელემენტის (მაღალ წერტილებში) ჩამოღება ამწით მიწაზე.

ოვალური ჩარჩოს ქვედა ნაწილში ელემენტების დემონტაჟი ხორციელდება საავტომობილო ამწით, ცალკეულ დამოუკიდებელ ელემენტებად, მათი მეზობელ და მოპირაპირე ელემენტებთან ჰორიზონტალური და ვერტიკალური კავშირების თანმიმდევრობითი ჩაჭრის შემდეგ.

სულ ბოლოს ხორციელდება მაყურებელთა დარბაზის იატაკის საყრდენი ლითონის დახრილი მთავარი შედგენილი კოჭების დემონტაჟი საავტომობილო ამწით.

ლითონის ელემენტების შეერთებების ჩახსნა მოხდეს ჭანჭიკური შეერთებების დაშლით ან ჩაჭრით. საბოლოოდ შეერთებების ჩახსნის მეთოდი გადაწყდეს უშუალოდ ადგილზე, დემონტაჟის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ.

3,0 მეტრზე მეტ სიმაღლეზე გარედან მუშაობისას (გარე გარსის და მისი ლითონის კარკასის მოხსნა, ლითონის ელემენტების

შეერთებების ჩახსნა და სხვა) მუშები უნდა იმყოფებოდნენ საავტომობილო ამწე-კალათაში და აღჭურვილნი უნდა იყვნენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.

3,0 მეტრზე ნაკლებ სიმაღლეზე მუშაობისას დასაშვებია მუშათა მიერ დროებითი ინვენტარული ხარაჩოების გამოყენება, ამავე დროს მუშები აღჭურვილნი უნდა იყვნენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.

ლითონის კარკასში მოქცეული მონოლითური რკ/ბეტონის სამსართულიანი შენობის (სარდაფის ჩათვლით 4 სართულიანი), ცალკეული მონოლითური რკ/ბეტონის სართულშუა გადახურვების, ბილიკების და კიბეების დემონტაჟი ხორციელდება ლითონის ოვალური კარკასის სადემონტაჟო სამუშაოებთან მიმდევრობით, სადემონტაჟო შენობის სართულების შესაბამისად.

მონოლითური რკ/ბეტონის ელემენტების დემონტაჟი ხორციელდება მათი ადგილზე დაშლა-დაქუცმაცება-მონგრევის მეთოდით, ხელის პნევმატური სანგრევი ჩაქურების გამოყენებით.

აკრძალულია ექსკავატორ-კოდალას გამოყენება.

შემდეგი ცალკეული სადემონტაჟო ეტაპი არის სარდაფის სართულის ლითონის კარკასისა და მონოლითური რკ/ბეტონის ელემენტების დემონტაჟი (გარდა შესანარჩუნებელი სარდაფის კედლისა და კონტრფორსული პილონებისა).

სარდაფის სართულის ლითონის ელემენტების დემონტაჟი ხორციელდება ელემენტური დაშლის მეთოდით, საავტომობილო ამწეების დახმარებით, ხოლო მონოლითური რკ/ბეტონის ელემენტების დემონტაჟი ხორციელდება მათი ადგილზე დაშლა-

- დაქუცმაცება-მონგრევის მეთოდით, ხელის პნევმატური სანგრევი ჩაქურების გამოყენებით. აკრძალულია ექსკავატორ-კოდალას გამოყენება.

შემდეგი ცალკეული სადემონტაჟო ეტაპი არის საძირკვლების დემონტაჟი(გარდა შესანარჩუნებელი საძირკვლებისა).

საძირკვლების მონოლითური რკ/ბეტონის ელემენტების დემონტაჟი ხდება მათი ადგილზე დაშლა-დაქუცმაცება-მონგრევის მეთოდით, ხელის პნევმატური სანგრევი ჩაქურების გამოყენებით.

აკრძალულია ექსკავატორ -კოდალას გამოყენება.

ბლოკი N 2-ის სადემონტაჟო სამუშაოები:

ბლოკი N 2-ის სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ძირითადი ჰორიზონტალური სამუშაო მიმართულებაა “ ბარათაშვილის აღმართიდან- რიყის პარკისკენ”, ხოლო ძირითადი ვერტიკალური სამუშაო მიმართულებაა “ ზემოდან- ქვემოთ”. სადემონტაჟო სამუშაოები ხორციელდება ცალკეულ სადემონტაჟო ეტაპებად.

ბლოკი N 2-ის სადემონტაჟო სამუშაოები ხორციელდება შენობის ერთი გრძივი გარე კონტურის გასწვრივ მოძრავი ერთი საავტომობილო ამწის დახმარებით, ტვირთამწეობით 200 ტნ. ასეთ ტონაჟობის ამწის შერჩევა განაპირობა სადემონტაჟო ლითონის მზიდი ჩარჩოს ცალკეული სადემონტაჟო ელემენტის(ფენის) სავარაუდო წონებმა, ისრის შვერისა და ისრის კაკვის აწევის საჭირო სიდიდეებმა, ასევე შენობის გაბარიტებმა.

„დემონტაჟის ორგანიზების პროექტის (მოპი)“ მოთხოვნით, საავტომობილო ამწის ტექნიკურ პასპორტში მოყვანილი მახასიათებლების შესაბამისად განისაზღვროს ამწის საჭირო მუშა

ტვირთამწეობა კონკრეტული ცალკეული სადემონტაჟო ლითონის ელემენტისათვის (წონის, ისრის შვერისა და კაკვის აწევის საჭირო სიდიდეების მიხედვით) და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდეს ამ ელემენტის დემონტაჟი.

სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას ამწე მოძრაობს შენობის გარედან, გრძივი გარე კონტურის გასწვრივ. ამწე მიზმა შენობის გარე კონტურთან არის 5,0 მეტრი (იხილეთ „სადემონტაჟო გენგეგმა“-ნახ. „დო-2“ და „სადემონტაჟო სქემები“- ნახ. „დო-3“). საავტომობილო ამწე მუშაობს როგორც ისრულ, ასევე ისრულ-ბატიყელიან შესრულებაში. საავტომობილო ამწეე მუშაობს ასევე გამოსატან საყრდენებზე.

ბლოკი N2 -ის სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ძირითადი ვერტიკალური სამუშაო მიმართულებაა „ზემოდან - ქვემოთ“. სამუშაოები ხორციელდება ცალკეულ სადემონტაჟო ეტაპებად.

პირველ ეტაპზე ხორციელდება მზიდი ლითონის ოვალური ჩარჩოს გარე გარსის(ალუმინი, უჟანგავი ფოლადი, მინა) და მისი ლითონის კარკასის დემონტაჟი.

პარალელურ ეტაპად ხორციელდება გვერდითი(ტორსული) ვიტრაჟების დემონტაჟი.

შემდეგ ცალკეულ სადემონტაჟო ეტაპად ხორციელდება შენობის მზიდი ლითონის კარკასისა და მონოლითური რკ/ბეტონის ელემენტების დემონტაჟი „ზემოდან - ქვემოთ, საძირკვლებამდე (გარდა შესანარჩუნებელი სარდაფის კედლისა და კონტრფორსული პილონებისა)“. ამ ეტაპის ლითონის კარკასის სადემონტაჟო სამუშაოები ხორციელდება ცალკეულ სადემონტაჟო ჰორიზონტალურ ფენებად (ელემენტებად) ცალკეული სადემონტაჟო

ნიშნულების(ცალკეული ფენების) მიხედვით.

ლითონის კარკასის დემონტაჟი (გარე გარსის და მისი კარკასის მოხსნისა და ტორსული ვიტრაჟების მოხსნის შემდეგ) ცალკეულ სადემონტაჟო უბნებზე ხდება შემდეგნაირად:

კარკასის დემონტაჟი იწყება ყველაზე მაღალი წერტილიდან (სადემონტაჟო ნიშნულიდან) და გრძელდება ყველაზე დაბალი წერტილის (სადემონტაჟო ნიშნულის) მიმართულებით. კარკასის დემონტაჟი ხდება ცალკეულ სადემონტაჟო (მოსაჭრელ) ჰორიზონტალურ ფენებად, საძირკვლებამდე. სადემონტაჟო ნიშნულზე ცალკეული სადემონტაჟო ფენის გაბარიტები(სიგრძე, სიგანე) დადგინდეს უშუალოდ ადგილზე, ამწის ტვირთამწეობის შესაბამისად, დემონტაჟის მწარმოებელი ორგანიზაციის მიერ.

ცალკეულ სადემონტაჟო ნიშნულზე, მის შესაბამის შენობის ჰორიზონტალურ პროექციაზე მთლიანად მოიჭრება(ჩაიხსნება) ლითონის კარკასის ფენა.

ლითონის კარკასის მოსაჭრელი ფენა ჭრის დაწყებამდე დაჭერილ უნდა იქნას საავტომობილო ამწის მიერ, შემდეგ მოხდეს ამ ფენის ჩაჭრა კარკასის მომიჯნავე ელემენტებთან და დემონტირებულ იქნას მიწაზე ამწის მიერ.

სულ ბოლოს ხორციელდება გრძივი ჰორიზონტალური, კარკასის საყრდენი მილების (დიამეტრით 40 სმ) დემონტაჟი ამწით.

ლითონის ელემენტების შეერთებების ჩახსნა მოხდეს ძირითადად ჩაჭრით ან ჭანჭიკური შეერთებების დაშლით. საბოლოოდ შეერთებების ჩახსნის მეთოდი გადაწყდეს უშუალოდ ადგილზე, დემონტაჟის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ.

3,0 მეტრზე მეტ სიმაღლეზე გარედან მუშაობისას (გარე გარსის და მისი ლითონის კარკასის მოხსნა, ლითონის ელემენტების შეერთებების ჩახსნა და სხვა) მუშები უნდა იმყოფებოდნენ საავტომობილო ამწე-კალათაში და აღჭურვილნი უნდა იყვნენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.

3,0 მეტრზე ნაკლებ სიმაღლეზე მუშაობისას დასაშვებია მუშათა მიერ დროებითი ინვენტარული ხარაჩოების გამოყენება, ამავე დროს მუშები აღჭურვილნი უნდა იყვნენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.

ლითონის კარკასში მოქცეული მონოლითური რკ/ბეტონის სართულშუა გადახურვების და კიბეების დემონტაჟი ხორციელდება ლითონის კარკასის სადემონტაჟო სამუშაოებთან მიმდევრობით, სადემონტაჟო შენობის სართულების შესაბამისად.

მონოლითური რკ/ბეტონის ელემენტების დემონტაჟი ხორციელდება მათი ადგილზე დაშლა-დაქუცმაცება-მონგრევის მეთოდით, ხელის პნევმატური სანგრევი ჩაქურების გამოყენებით.

აკრძალულია ექსკავატორ-კოდალას გამოყენება.

სარდაფის სართულის ლითონის ელემენტების დემონტაჟი ხორციელდება ელემენტური დაშლის მეთოდით, საავტომობილო ამწის დახმარებით, ხოლო მონოლითური რკ/ბეტონის ელემენტების დემონტაჟი ხორციელდება მათი ადგილზე დაშლა-დაქუცმაცება-მონგრევის მეთოდით, ხელის პნევმატური სანგრევი ჩაქურების გამოყენებით. აკრძალულია ექსკავატორ-კოდალას გამოყენება.

შემდეგი ცალკეული სადემონტაჟო ეტაპი არის საძირკვლების დემონტაჟი(გარდა შესანარჩუნებელი საძირკვლებისა).

სადირკვლების მონოლითური რკ/ბეტონის ელემენტების დემონტაჟი ხდება მათი ადგილზე დაშლა-დაქუცმაცება-მონგრევის მეთოდით, ხელის პნევმატური სანგრევი ჩაქურების გამოყენებით.

აკრძალულია ექსკავატორ -კოდალას გამოყენება.

სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას სასტიკად აკრძალულია მუშათა დგომა ავარიულ კონსტრუქციებზე. წინასწარ მოხდეს მუშათა სამუშაო და სადგომი ადგილების შემოწმება მათი მზიდუნარიანობის კუთხით. მათი ავარიულობის შემთხვევაში სამუშაოთა წარმოება მოხდეს საავტომობილო ამწე-კალათაში მუშათა დგომით.

სამშენებლო ნაგვის მოგროვება ხდება ბულდოზერით, ხოლო მისი დატვირთვა ავტოთვითმცლელელებზე ხორციელდება ექსკავატორით „უკუ ჩამჩა“, ჩამჩის ტევადობით 1,0 მ³. ამავე ექსკავატორით ხდება გრუნტის დამუშავება სადირკვლებში (საჭიროების შემთხვევაში).

გრუნტის დამუშავება ხდება ასევე ხელით. სამშენებლო ნაგვის გატანა სადემონტაჟო მოედნიდან ხორციელდება ნაგავსაყრელზე ავტოთვითმცლელელებით.

დემონტირებული ელემენტები გატანამდე დასაწყობდება სადემონტაჟო მოედანზე, ცალკეულ დროებით სასაწყობო მოედნებზე. მათი შემდგომი გატანა ხდება ბორტული მანქანებით და სპეციალური მანქანებით.

სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას დაცული უნდა იქნას სნდაწ - III-4-80*-ის მოთხოვნები და უსაფრთხოების მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნები. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები დეტალურად დაზუსტდეს „სამუშაოთა წარმოების პროექტ“- ში.

VII. საჭირო მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

შენობის სადემონტაჟო სამუშაოების ჩასატარებლად საჭიროა შემდეგი მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი:

1. საავტომობილო ამწე, მაქს. ტვირთამწეობით 200 ტნ -3 ცალი
2. ექსკავატორი „უკუჩამჩა“, ტევადობით 1,0 მ³-1ცალი
3. ბულდოზერი-1ცალი
4. მოძრავი კომპრესორი-4 ცალი
5. ავტოთვითმცლელელები-2 ცალი
6. ბორტული ავტომანქანა-4 ცალი
7. სპეციალიზებული ტრანსპორტი(ლითონის ელემენტების ტრანსპორტირება)-2 ცალი
8. საავტომობილო ამწე-კალათა- 4 ცალი

დემონტაჟისათვის აუცილებელია ასევე შემდეგი მცირე მექანიზაციის საშუალებები და ინვენტარი:

1. მცირე მექანიზაციის საშუალებები-4კომპლექტი
2. პნევმატური სანგრევი ჩაქუჩები-4 ცალი
3. ელექტროსანგრევი ჩაქუჩები-4 ცალი
4. ელექტრული ჭრის მექანიზმი-4ცალი
5. ინვენტარული ხარაჩოები-200 მ²

VIII. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოება

ყველა სადემონტაჟო სამუშაო უნდა შესრულდეს სნდაწ - III-4-80* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“-ის მოთხოვნებისა და უსაფრთხოების მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების მკაცრი დაცვით, ასევე სახანძრო უსაფრთხოების წესების მოთხოვნების მკაცრი დაცვით.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად უნდა დამუშავდეს „სამუშაოთა წარმოების პროექტი“, რომელშიც დეტალურად იქნება მოცემული სადემონტაჟო სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ღონისძიებები.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე შენობის შიდა კომუნიკაციები-დენი, წყალი, კანალიზაცია, გაზი და სხვა(არსებობის შემთხვევაში) უნდა გამოირთოს გარე ქსელებიდან.

ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დაზუსტდეს მათი წონები, განლაგება და ტექნიკური მდგომარეობა. პირველ რიგში დემონტირებულ იქნას ავარიული კონსტრუქციები. სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას წარმოშობილი სახიფათო ზონის მაქსიმალური რადიუსი სადემონტაჟო შენობის გარე კონტურიდან შეადგენს : 7,0 მეტრს -სადემონტაჟო მოედანზე და 4,0 მეტრს- ბარათაშვილის აღმართზე. სახიფათო ზონა უნდა მოექცეს სადემონტაჟო მოედნის ღობის შიდა კონტურში და აღინიშნოს დღე-ღამურად კარგად დასანახი ნიშნებით და სიგნალებით.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას აკრძალულია უცხო ადამიანთა ყოფნა სადემონტაჟო მოედანზე და განსაკუთრებით კი დემონტაჟის სახიფათო ზონაში.

დემონტაჟის სახიფათო ზონის მოცემული რადიუსი დაზუსტდეს სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტში ან უშუალოდ ადგილზე, დემონტაჟის სამუშაოთა დაწყების წინ.

სადემონტაჟო მოედანზე მყოფი ყველა მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი სამუშაოთა წარმოებისას აღჭურვილი უნდა იყოს ინდივიდუალური უსაფრთხოების კომპლექტით(უსაფრთხოების ქამრები,რეზინის ფეხსაცმელები, რეზინის ხელთათმანები, დამცავი ჩაფხუტები , რესპირატორები და სხვა). აკრძალულია სადემონტაჟო სამუშაოებზე მუშათა დაშვება დამცავი ჩაფხუტის,უსაფრთხოების ქამრების,რესპირატორების ,დამცავი სათვალეების და სხვათა გარეშე.

აკრძალულია მანქანა-მექანიზმების მუშაობა უშუალოდ მოქმედი საჰაერო ელ. გადამცემი ხაზების ქვეშ. მოქმედი საჰაერო ელ.გადამცემი ხაზების სიახლოვეს მანქანა-მექანიზმების მუშაობა დასაშვებია მხოლოდ დამშვები განწყის საფუძველზე.

აკრძალულია სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოება უშუალოდ მოქმედი მაღალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზების ქვეშ, მოქმედი მაღალი ძაბვის საკონტაქტო ქსელის ქვეშ და ასევე მოქმედი დაბალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზების ქვეშ. ყველა ამ ელ. გადამცემი ხაზების ქვეშ სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოება დასაშვებია მხოლოდ ამ ხაზების გამორთულ და უმოქმედო მდგომარეობაში ყოფნის შემთხვევაში.

მოქმედი მაღალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზების სიახლოვეს(მათ დამცავ ზონაში), მოქმედი მაღალი ძაბვის საკონტაქტო ქსელის დამცავ ზონაში (20 მეტრი კიდურა ხაზიდან) და მოქმედი დაბალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზების სიახლოვეს(მათ დამცავ ზონაში) სადემონტაჟო სამუშაოების წარმოება დასაშვებია მხოლოდ დამშვები განწყის საფუძველზე. დამშვებ განწყეს გასცემს შესაბამისი ხაზის ან ქსელის მფლობელი ორგანიზაცია.

მაღალი ძაბვის ელ გადამცემ ხაზებთან(ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად) და ასევე მაღალი ძაბვის საკონტაქტო ქსელის ხაზებთან (ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად) 3,0 მეტრზე

ახლოს, ხოლო დაბალი ძაბვის ელ. გადამცემ ხაზებთან (ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად) 2,0 მეტრზე ახლოს საავტომობილო ამწის ისრის მიახლოება და ასევე ნებისმიერი სადემონტაჟო სამუშაოს წარმოება დაუშვებელია.

სადემონტაჟო სამუშაოებზე დასაქმებულებს აუცილებლად უნდა ჩაუტარდეთ სისტემური სწავლებები და ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებში.

მხოლოდ ამ სწავლებების და ინსტრუქტაჟის გავლის შემდეგ არის ნებადართული მათი დაშვება სადემონტაჟო სამუშაოებზე.

სადემონტაჟო სამუშაოებზე დაშვებულ უნდა იქნას მაღალკვალიფიციური და შესაბამისი სერტიფიკატის მქონე მუშახელი.

ყოველი მომუშავე სამუშაოს წარმოებისას უნდა იმყოფებოდეს უშუალოდ თავის სამუშაო ადგილზე, მოერიდოს სახიფათო ზონებში ყოფნას და სიარულს, დაემორჩილოს ამკრძალავ, გამაფრთხილებელ და მიმითითებელ ნიშნებს.

სამუშაოები უნდა შესრულდეს უშუალოდ უსაფრთხოების მენეჯერისა და სამუშაოთა მწარმოებლის მეთვალყურეობით.

სიმაღლეზე სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას აკრძალულია ადამიანთა ყოფნა სადემონტაჟო სივრცის ქვედა სივრცეში.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების უსაფრთხოებაზე უშუალოდ პასუხისმგებელია უსაფრთხოების ინჟინერი და სამუშაოთა მწარმოებელი.

სამშენებლო ნაგვის გატანა ხორციელდება ავტოთვითმცლელელებით

არსებულ ნაგავსაყრელზე (დაზუსტდეს დემონტაჟის შემსრულებელი ორგანიზაციის მიერ).

სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას არსებული შესანარჩუნებელი ხეები და მწვანე ნარგავები მაქსიმალურად დაცული უნდა იქნას დაზიანებისგან.

სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას დემონტაჟის შემსრულებელი ორგანიზაციის მიერ მიღებული უნდა იქნას ზომები და შემუშავდეს ღონისძიებები გარემოსა და გარემომცოფთა დასაცავად მტვრისგან და ხმაურისგან. ამ მიზნით სამუშაოთა წარმოებისას შეიფუთოს ბარათაშვილის აღმართის მხარეს სადემონტაჟო შენობის გარე ფასადები წვრილი მავთულბადით და ტენტით, სადემონტაჟო მოედანზე მოეწყოს სარეცხი კერხერი გამომავალი ავტომანქანების გასარეცხად და სხვა.

ბარათაშვილის აღმართის ტროტუარზე ფეხით მოსიარულეთათვის ეწყობა დროებითი დახურული გასასვლელი (სიგანე და სიმაღლე დაზუსტდეს უშუალოდ ადგილზე).

IX. მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების დასაწყობება და გატანა

დემონტაჟის შედეგად წარმოშობილი მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“, საქართველოს მთავრობის N 421 დადგენილების და გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის N 211 ბრძანების შესაბამისად.

შენობის დემონტაჟის შედეგად წარმოშობილი მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების დასაწყობებისა და გატანის გეგმა მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:

1. მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების დროებითი დასაწყობება სადემონტაჟო მოედანზე.
2. სამშენებლო ნაგვის დატვირთვა და ტრანსპორტირება სადემონტაჟო მოედნიდან ნაგავსაყრელზე.
3. მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების გატანა სადემონტაჟო მოედნიდან.

მეორადი სამშენებლო მასალები და კონსტრუქციები სადემონტაჟო მოედანზე უნდა დასაწყობდეს განცალკევებულ სასაწყობო მოედნებზე, სახეობების შესაბამისად.

სასაწყობო მოედნებზე დასაწყობებული ყველა მეორადი სამშენებლო მასალა და კონსტრუქცია ზემოდან და გვერდებიდან უნდა დაიფაროს დამაგრებული დროებითი საფარით (ტენტით ან პოლიეთილენით), ხოლო მათ ქვემოთ მოეწყოს ხის დროებითი ფიცარნაგი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დემონტაჟის შედეგად წარმოშობილი მოგროვილი ამტვერებადი

სამშენებლო ნაგვის დროებით დაფარვას.

აკრძალულია მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების დასაწყობება მათი დროებითი საფარით დაფარვის გარეშე.

სასაწყობო მოედნები მოეწყოს ისე, რომ გამოირიცხოს მათზე ატმოსფერული ნალექების შეღწევა (მიწის დონიდან ამაღლება, მოედნის გვერდების შემოფარგვლა და სხვა).

სადემონტაჟო მოედანზე მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების დასაწყობება უნდა მოხდეს ხანმოკლე ვადით.

აკრძალულია წვადი სამშენებლო ნარჩენების სადემონტაჟო მოედანზე დაწვა. ასევე აკრძალულია ზეთების და საპოხი მასალების არსებულ საკანალიზაციო ქსელში ჩაშვება.

სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება უნდა მოხდეს ტექნიკური რეგლამენტის „ნარჩენების ტრანსპორტირების წესები“-ს თანახმად.

სამშენებლო ნაგვის დატვირთვა ავტოთვითმცლელელებზე ხორციელდება ექსკავატორით. ნაგვის დამუშავება ხდება სველი მეთოდით. ნაგვის ტრანსპორტირება ხდება ავტოთვითმცლელელებით.

ავტოთვითმცლელელებზე დატვირთული სამშენებლო ნაგავი ზემოდან უნდა დაიფაროს ტენტით ან პოლიეთილენით, რათა გამორიცხულ იქნას მისი ტრანსპორტირებისას გარემოს დაბინძურება.

სამშენებლო ნაგავი დემონტაჟის შემსრულებელი ორგანიზაციის მიერ ტრანსპორტირდება სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელზე.

სადემონტაჟო მოედნიდან მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების გატანას უზრუნველყოფს დემონტაჟის შემსრულებელი ორგანიზაცია.

მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების ტრანსპორტირება ხორციელდება ბორტული ავტომანქანებით და სპეციალიზებული ავტოტრანსპორტით.

დემონტაჟის კალენდარული გრაფიკი

ქ.თბილისში, რიყის ტერიტორია,ნაკვეთი 65/061-ზე (ს.კ.01.17.01.065.061) მდებარე შპს „რიყე დომ“-ის კუთვნილი შენობა 01/4-ის დემონტაჟი

დემონტაჟის ხანგრძლივობა-6 თვე

№	სადემონტაჟო სამუშაოთა დასახელება	ხანგრძლივობა (თვე)	თვეები					
			I	II	III	IV	V	VI
1	2	3	4	5	6	7	8	9
	I. მოსამზადებელი სამუშაოები:							
1	სადემონტაჟო მოედნის შემოღობვა დროებითი საჩეხიანი ღობით. დროებითი დახურული გასასვლელის მოწყობა ბარათაშვილის აღმართის ტროტუარზე.	0,5						
2	შენობის შიდა ქსელების გამორთვა გარე ქსელებიდან.დროებითი შენობების მოწყობა. დროებითი სასაწყობო მოედნების მოწყობა.	0,5						
3	დროებითი ელ.მომარაგების და წყალმომარაგების ქსელის მოწყობა.დროებითი განათების ქსელის მოწყობა.	0,5						
4	საავტომობილო აშენებისთვის დროებითი სამომრავო ზოლების მოწყობა. დროებითი შიდასამოედნო გზის მოწყობა.	0,5						
5	სახიფათო ზონების აღნიშვნა ნიშნებით და სიგნალებით. შენობის გვერდითი ფასადის (აღმართის მხარეს) დროებითი ზადით და ტენტით შეფუთვა.	0,5						
	II. ძირითადი სამუშაოები (შენობა 01/4):							
	ა) ბლოკი „1“							
6	გარე გარსის (ალუმინი,მინა,უქანგავი ფოლადი) და მისი ლითონის კარკასის დემონტაჟი.	2,0						
7	გვერდითი (ტორსული) ვიტრაჟების დემონტაჟი.	0,5						
8	ლითონის კარკასისა და მონოლითური რკ/ბეტონის ელემენტების დემონტაჟი „ზემოდან ქვემოთ“, სარდაფის სართულამდე (გარდა შესანარჩუნებელი კონტრფორსული პილონებისა).	4,0						
9	სარდაფის სართულის ლითონისა და მონოლითური რკ/ბეტონის ელემენტების დემონტაჟი (გარდა შესანარჩუნებელი სარდაფის კედლის და კონტრფორსული პილონებისა).	1,5						
10	საძირკვლების დემონტაჟი (გარდა შესანარჩუნებელი საძირკვლებისა).	0,5						
	ბ) ბლოკი „2“							
11	გარე გარსის (ალუმინი,მინა,უქანგავი ფოლადი) და მისი ლითონის კარკასის დემონტაჟი.	1,0						
12	გვერდითი (ტორსული) ვიტრაჟების დემონტაჟი.	0,5						
13	ლითონის კარკასისა და მონოლითური რკ/ბეტონის ელემენტების დემონტაჟი, „ზემოდან ქვემოთ“, საძირკვლებამდე (გარდა შესანარჩუნებელი სარდაფის კედლის და კონტრფორსული პილონებისა).	2,5						
14	საძირკვლების დემონტაჟი (გარდა შესანარჩუნებელი საძირკვლებისა).	0,5						
15	დემონტირებული ელემენტების გატანა მოედნიდან.	4,0						
16	სამშენებლო ნაგვის გატანა მოედნიდან.	4,0						

შენიშვნა: წინამდებარე ნახაზი „დო-1“ იხილეთ განმარტებით ბარათთან და ნახაზებთან „დო-2“ და „დო-3“-თან ერთად.

	ქ.თბილისში, რიყის ტერიტორია,ნაკვეთი 65/061-ზე (ს.კ.01.17.01.065.061) მდებარე შპს „რიყე დომ“-ის კუთვნილი შენობა 01/4-ის დემონტაჟი				
დირექტორი	ტ.სტურუა		დემონტაჟის ორგანიზების პროექტი (მოპი)		
ორგ.პრ.ავტორი	ტ.სტურუა				
დაამუშავა	თ.სტურუა	თ. სტურუა	დემონტაჟის კალენდარული გრაფიკი	ფურც	სულ
				„დო-1“	3
				-	

საღმომონტაჟო გენგეგმა 01:1000

შენიშვნის საღმომონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად დაგეგმვას „სამუშაოთა წარმოების პროექტი“.

შენიშვნის საღმომონტაჟო სამუშაოები შესრულდეს მათი წარმოების ტექნოლოგიური პრინციპების დაცვით!

ყველა საღმომონტაჟო სამუშაო შესრულდეს სნფა-III-4-80*-ის და შესაფრთხილების მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების მკაცრი დაცვით!

არსებული გზაზე ნარგავები დაცული იქნას დაზიანებისგან

არსებული საყრდენი კედელი (აღმართის)

დროებითი დახურული გასასვლელი ფენით მოსიარულეთათვის(ტროტუარზე)

არსებული საყრდენი კედელი (აღმართის)

ბარათების ავარტი


საღმომონტაჟო სამუშაოების წარმოებისას წარმოებული სახიფათო ზონის რადიუსი შენობის გარე კონტურის გარშემო შეადგენს 7.0 მ-ს(საღმომონტაჟო მოედანზე) და 4.0მ-ს (აღმართზე).

პირობითი აღნიშვნები

- საღმომონტაჟო შენობა
- დროებითი შენობები
- ღია სასაწყობო მოედანი
- დროებითი სახეხიანი ღობე
- შენობის მიწისქვეშა ნაწილი(სარდაფი)
- სახიფათო ზონის საზღვარი
- საავტომობილო ავთი



ამწის მუშა სვლის ღერძი




დროებითი დახურული გადასასვლელი




ამწის კიდურა სამონტაჟო ღერძი



არსებული ხეები



საღმომონტაჟო მოედანზე შესვლა-გასვლა



დროებითი შედსამომედნო გზა



მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი

ღმომონტაჟის განსაკუთრებული მოთხოვნები:

- 1.საღმომონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად დაგეგმვას „სამუშაოთა წარმოების პროექტი“ (ღმომონტაჟის გვარმოებელი ორგანიზაციის მიერ)!
- 2.საღმომონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე შენობის ყველა შიდა საინჟინრო მხელი (დენი,წყალი და სხვა) აუცილებლად გამოთვლილი უნდა იქნას გარე მხლებიდან!
- 3.საღმომონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე დაუშტებულ იქნას მიწის ნაკვეთზე შესაძლო გამავალი მიწისქვეშა საინჟინრო მხლების განლაგება, რისთვისაც ობიექტზე გამოკახებულ იქნას ქალაქის საინჟინრო კომუნიკაციების გვლოგელი ორგანიზაციების წარმომადგენლები!
- 4.შენობის საღმომონტაჟო სამუშაოები მიუკუთვნება მაღალი რისკისა და მოგატებული საფრთხის შემცველ სამუშაოებს. ღმომონტაჟის გვარმოებელი ორგანიზაციის მიერ მოხდეს საფრთხეების იდენტიფიცირება, რისკების შეფასება და მიღებულ იქნას შესაბამისი პრევენციული ზომები. გამოყოფილ იქნას შრომის შესაფრთხილებასე პასუხისმგებელი პირი!
- 5.საავტომობილო ავთების სამოძრაო ზოლის, სასაწყობო მოედნების და დროებითი გზის მოსაწყობად აუცილებელია გარკვეული რაოდენობის არსებული ხეებისა და ნარგავების მოჭრა და გადარბვა! სამოძრაო ზოლის სიგანე - 5,0მ.
- 6.ბარათაშვილის აღმართის საყრდენი კედლის მდგარობის შენარჩუნების მიზნით, შენარჩუნდეს და არ იქნას ღმომონტირებული შენობის სარდაფის კედელი, კონტროლორული პილონები და საპირკველები საყრდენ კედელთან მომიჯნავე მთელ გრძივ კონტურზე (იხ.განმარტებითი ბარათი)!
- 7.საღმომონტაჟო სამუშაოების წარმოებისას აკრძალულია ექსკავატორ-კოლაას გამოყენება!
- 8.მოწოდებითური რკვეტონის და გეტონის კონსტრუქციების ღმომონტაჟი მოხდეს მათი აღბილზე დაშლა-მოწოდებით, პნემატური სანბრები ჩაქუნების გამოყენებით!
- 9.დიდგაბარიტული საღმომონტაჟო ელემენტების მუშა აუქვამდე მოხდეს მათი საკონტროლო აუთა ავთით, მცირე სიმაღლეზე!
- 10.ყველა საღმომონტაჟო სამუშაო შესრულდეს სნფა-III-4-80*-ის და შესაფრთხილების მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების შესაბამისად!
- 11.ყველა საღმომონტაჟო სამუშაო შესრულდეს განმარტებით ბარათში მოცემული გითოდებისა და ეტაპების სრული დაცვით!
- 12.საღმომონტაჟო სამუშაოებზე დაშვებულ იქნას მაღალკვალიფიციური და შესაბამისი სერტიფიკატის მქონე მუშანები!
- 13.ბარათაშვილის აღმართზე (ტროტუარზე),სახიფათო ზონის ვარგლებში მოუწყოს დროებითი დახურული გასასვლელი ფენით მოსიარულეთათვის.
- 14.მიღებულ იქნას ღონისძიებები გარემოს დაბინძურებისგან დასაცავად!

შენიშვნები

- 1.წინამდებარე ნახაზი „ღო-2“ იხილეთ განმარტებით ბარათთან და ნახაზებთან: „ღო-1“ და „ღო-3“-თან ერთად.
- 2.საღმომონტაჟო გენგეგმა დაგეგმვებულია შენობის მიწისზედა ნაწილის ღმომონტაჟის პერიოდისთვის, მიწის ნაკვეთის ტოპოგეგმის საფუძველზე.
- 3.შენობა 01/4-ის ორივე გლოკის: №1 და №2 გლოკების საღმომონტაჟო სამუშაოები იუყება ერთდროულად და ხოტციეღდება პარალელურ რეჟიმში!
4. შენობის №1 და №2 გლოკების ღმომონტაჟი ხოტციეღდება „ზემოდან-ქვემოთ“, სახურავიდან-საპირკველების ჩათვლით (შენარჩუნდება და არ ღმომონტირდება მხოლოდ შენობის გლოკების სარდაფის კედელი, კონტროლორული პილონები და საპირკველები, რომლებიც განლაგებულია ბარათაშვილის აღმართის არსებულ საყრდენ კედელთან მომიჯნავე მთელ გრძივ კონტურზე.
- 5.გლოკი №1-ის საღმომონტაჟო სამუშაოები ხოტციეღდება ორი საავტომობილო ავთით, ტვირთაგვთობით 200ტნ.
- 6.გლოკი №2-ის საღმომონტაჟო სამუშაოები ხოტციეღდება ერთი საავტომობილო ავთით, ტვირთაგვთობით 200ტნ.
- 6.საღმომონტაჟო სამუშაოთა წარმოების ეტაპები და გითოდები იხილეთ განმარტებით ბარათში.

არსებული შენობა-ნაგებობების ექსკლიკაცია

- 01/4 - საღმომონტაჟო შენობა(მთლიანი)
- 1 - საღმომონტაჟო შენობა 01/4-ის №1 გლოკი
- 2 - საღმომონტაჟო შენობა 01/4-ის №2 გლოკი
- 3 - არასაღმომონტაჟო არსებული საყრდენი კედელი(აღმართის)


დროებითი შენობა-ნაგებობების ექსკლიკაცია

- I სამუშაოთა გვარმოებლის ოფისი
- II საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობები
- III დროებითი ღობე (სახეხიანი)
- IV სასადილო
- V ჯანდაცვის აუქქტი
- VI სახანძრო დავა
- VII ღია სასაწყობო მოედანი
- VIII სველი წირტილი
- IX დახურული საწყობი
- X საწყობი-ვარდული
- XI დროებითი შედსამომედნო გზა
- XII საღმომონტაჟო მოედანზე შესვლა-გამოსვლა
- XIII დროებითი დახურული გასასვლელი


	ქ.თბილისში, რიყის ტერიტორია,ნაკვეთი 65/061-ზე (ს.კ.01.17.01.065.061) მდებარე შპს „რიყე დომ“-ის კუთვნილი შენობა 01/4-ის დემონტაჟი				
დირექტორი	ტ.სტურუა		დემონტაჟის ორგანიზების პროექტი (მოპი)		
ორგ.პრ.ავტორი	ტ.სტურუა				
დაამუშავა	გ.ცუცქირიძე		სადემონტაჟო გენგეგმა	ფურც	სულ
				„დო-2“	3
				1:1000	

სადემონტაჟო სქემები


სქემა №1-ბლოკი №1-ის შესრულებო ნაწილი(ბანოვი)



სქემა №3-ბლოკი №2 (განვიხილო)



სქემა №2-გლობი №1-ის სარდაფიანი ნაწილი (ბრძოვი)





შპს-ს მფლობელები:

- 1.წინამდებარე ნახაზი "დო-3" იხილეთ განმარტებით გარათითან და ნახაზებთან: "დო-1" და "დო-2" ერთად.
- 2.სადემონტაჟო სქემები დამუშავებულია №1 და №2 ბლოკების მიწისზედა ნაწილის დემონტაჟის პერიოდისათვის.
- 3.სადემონტაჟო ანაკრები ელემენტების დემონტაჟის დაწყებამდე აღბილზე უნდა დაზუსტდეს თითოეული ელემენტის ტექნიკური მდგომარეობა, წონა, ისრის შვრისა და კაკვის აწევის საჭირო სიდიდეები.
- 4.სადემონტაჟო ელემენტის მუშა აწევამდე მოხდეს მისი საკონტროლო აწევა მიწიდან ზრ სიმაღლეზე!
- 5.პირელ რიგში დემონტირებული იქნას ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ელემენტები.
- 6.საავტომობილო ამწეები მუშაობენ გამოსათან საყრდენებზე!


		ქ.თბილისში, რიყის ტერიტორია,ნაკვეთი 65/061-ზე (ს.კ.01.17.01.065.061) მდებარე შპს „რიყე დომ“-ის კუთვნილი შენობა 01/4-ის დემონტაჟი			
დირექტორი	ტ.სტურუა		დემონტაჟის ორგანიზების პროექტი (მოპი)		
ორგ.პრ.ავტორი	ტ.სტურუა				
დაამუშავა	გ.ცუცქერიძე		სადემონტაჟო სქემები	ფურც	სულ
				„დო-3“	3
				1:360	

შენობის შესანარჩუნებელი სარდავის კედელი, კონტროლსული პილონები და მათი საძირკვლები
(ბარათაშვილის აღმართის არსებული საყრდენი კედლის მიჯნაზე)

გეგმა



ჭრილი



შენიშვნები:

- 1.სარდავის კედელი და მისი საძირკველი შენარჩუნდეს საყრდენ კედელთან მომიჯნავე შენობის მთელ ბრძივ კონტურზე!
- 2.კონტროლსული პილონები შენარჩუნდეს ყველა სართულზე,საყრდენ კედელთან მომიჯნავე შენობის მთელ ბრძივ კონტურზე!
- 3.პილონების საძირკვლები შენარჩუნდეს საყრდენ კედელთან მომიჯნავე შენობის მთელ ბრძივ კონტურზე!

საძირკვლების ჩაღრმავება დახუსტდეს აღბილზე (სარდავის სართულის ელემენტების დემონტაჟის დროს)



12 მარ. 2026 13:09:14
ძველი თბილისი
თბილისი



12 მარ. 2026 14:08:24
ძველი თბილისი
თბილისი



12 მარ. 2026 14:16:37
Nikoloz Baratashvili Rise
ძველი თბილისი
თბილისი



25 მარ. 2026 13:46:06
ძველი თბილისი
თბილისი





12 მარ. 2026 13:40:03
27 Khidistavi Street
ძველი თბილისი
თბილისი



12 მარ. 2026 13:09:14
ძველი თბილისი
თბილისი



25 მარ. 2026 12:46:59
300 Арагвинцев ул. Спуск
ძველი თბილისი
თბილისი



25 მარ. 2026 12:35:08
Nikoloz Baratashvili Rise
ძველი თბილისი
თბილისი



25 მარ. 2026 12:47:26



25 მარ. 2026 13:09:15
ძველი თბილისი
თბილისი





25 მარ. 2026 14:47:42
ძველი თბილისი
თბილისი



25 მარ. 2026 13:55:12
13 იოანე შავთელის ქუჩა
ძველი თბილისი
თბილისი



25 მარ. 2026 13:54:08
Nikoloz Baratashvili Rise
ძველი თბილისი
თბილისი




25 მარ. 2026 13:39:20
27 Khidistavi Street
ძველი თბილისი
თბილისი



25 მარ. 2026 13:30:04



25 მარ. 2026 13:09:41
ძველი თბილისი
თბილისი



12 მარ. 2026 13:46:08
Nikoloz Baratashvili Rise
ძველი თბილისი
თბილისი



12 მარ. 2026 13:05:47
ძველი თბილისი
თბილისი

ქალაქი თბილისი, რიყის ტერიტორია, ნაკვეთი 65/061 (ს/კ: 01.17.01.065.061)
მეს. შპს. "რიყე დომ" (ს/კ 406513562) საკუთრებაში არსებული 14591კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო
დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მისი მიმდებარე ტერიტორიის ტოპოგრაფიული

[illegible]07.03.2026⁹.

შენიშვნა: _____ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
 _____ მომდევნო რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
 მიწის სამუშაოების შესრულებისას შეატყობინეთ კომუნიკაციის წარმომადგენლებს